# მეცნიერული კონტურები უკეთესი მომავლისათვის

ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია CERN-ი მსოფლიოს უდიდესი ლაბორატორიაა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში. იგი დაფუძნდა 1954 წლის 29 სექტემბერს წევრი ქვეყნების ხელმოწერით. ხელმომწერი ქვეყნების ნუსხაში საქართველოც იყო წარმოდგენილი. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყანა, აღნიშნულ ორგანიზაციაში ყოველწლიურ აუცილებელ საწევრო შენატანს კეთილსინდისიერად იხდიდა, ხოლო ორმოცზე მეტი ქართველი ფიზიკოსი ჩართული იყო ბირთვული ფიზიკის პრობლემების შესწავლაში. ქართველ მეცნიერებს, ძირითადად, საქართველოს მოქალაქეებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ მსოფლიოს მომავლის ფორმირებაში. აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი, CERN-ის კომისიის წევრი, ყურადღებით ადევნებდა თვალს ქართველი ფიზიკოსების მუშაობას და ყოველ ღონეს ხმარობდა ორგანიზაციის წევრობის შესანარჩუნებლად. იგი მაღალჩინოსანთა შეწუხებასაც არ ერიდებოდა ორგანიზაციაში შესატანი სოლიდური თანხის გამოსათხოვად. ბატონი ნოდარი ყოველთვის სიამაყით ლაპარაკობდა ჩვენს წვლილზე ბირთვული ფიზიკის განვითარებაში. ეს იყო ჩვენი ქვეყანის მეცნიერების განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის გარკვეული სტიმული. ორგანიზაციის წევრობა უკვე თავისთავად ნიშნავდა, რომ ქართული მეცნიერება სერიოზულ სიმაღლეებს ეჭიდებოდა და საერთშორისო სამეცნიერო წრეებში ანგარიშგასაწევი ავტორიტეტის მოპოვებას ცდილობდა.

სისტემურმა ცვლილებებმა, განვითარებადი ქვეყნის სტატუსმა, რომელიც ჩვენივე უნიათობითა და არასწორი პოლიტიკური გათვლებით დავიმსახურეთ, არსებული ვითარება რადიკალურად შეცვალა. ყველაფერთან ერთად, მეცნიერებაც დრამატულად დაზარალდა. საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრები, ფაქტობრივად, გაჩანაგდა. არადა, დღევანდელი გადასახედიდან, სწრაფად ცვალებად მსოფლიოში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ის ქვეყანა, რომელიც ფეხს აუწყობს მეცნიერულ პროგრესს, დანერგავს ინოვაციებს, თავად შეიმუშავებს უახლეს ტექნოლოგიებს ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების წინსვლის, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ქვეყნის უსაფრთხოება დღეს დიდად არის დამოკიდებული მეცნიერულ პროგრესზე.

უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის მორიგი კონფერენცია წარიმართა ეგიდით: „მეცნიერება და ონოვაციები ქვეყნის განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის“. საერთო ინტერესებით გაერთიანებულმა მეცნიერებმა და საზოგადოებრიობის

წარმომადგენლებმა ყურადღებით  მოისმინეს ცნობილ მკვლევართა და გამომგონებელთა მოხსენებები. გაიმართა დებატები.

აღინიშნა თუ როგორ შესძლო ჩვენმა მეზობელმა თურქეთმა, ინოვაციებზე  აქცენტირებით, არსებითი გარდატეხა მოეხდინა ეკონომიკაში. გამოითქვა მოსაზრება, რომ ჩვენი პოლიტიკა აუცილებლად უნდა იყოს ტექნოლოგიების ტრანსფერი. მრავალფეროვანი და საინტერესო მოხსენებები, რომელთა ავტორები ცნობილი მეცნიერები არიან, გვაიმედებს, რომ ქართული მეცნიერება ხალხის სამსახურში უცილობლად ჩადგება, თუ სახელმწიფოებრივი მიდგომა, პოლიტიკური ნება იქნება გარანტირებული. ჩვენი ქვეყანა საკუთარი ინტელექტუალური რესურსით სერიოზულ გარღვევას მოახდენს სხვადასხვა მიმართულებით და საქართველო სწრაფი ეკონომიკური განვითარების გზას დაადგება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარებას, განათლებისა და კულტურის აღმავლობას და მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს ღირსეული იმიჯის დამკვიდრებას, რაც, თავის მხრივ, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო უსაფრთხოების უტყუარი გარანტია.

დიდი მადლობა კონფერენციის ორგანიზატორებს, „უსმას“-ს თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ობოლაძეს და საბჭოს წევრებს უაღრესად საჭირბოროტო, მნიშვნელოვანი საკითხების საჯარო სივრცეში გამოტანისთვის. ვიმედოვნებთ, რომ დიალოგი, მსჯელობა, კამათი ქართული მეცნიერების დღევანდელ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე კვლავაც გაგრძელდება, რაც, თავის მხრივ,  უკეთ  გამოკვეთს ჩვენი, როგორც სუვერენული  სახელმწიფოს მომავლის  კონტურებს.

**პატივისცემით, ქეთევან ტომარაძე**